სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

GEOSTM-ის გენდერული სამოქმედო გეგმა

GEOSTM-ის შესახებ

სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (GEOSTM) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ფუნქციონირებს **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში**. სააგენტო ასრულებს თავის საქმიანობას **სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროებში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა“** და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ გამოცემული **2012 წლის 26 ივლისის №1-1/1570 ბრძანების** შესაბამისად.

მეტროლოგიის ინსტიტუტის ძირითადი ფუნქციებია:

- არსებული სახელმწიფო ეროვნული ეტალონების და გაზომვის სანიმუშო საშუალებების შენახვა და განვითარება;
- გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე;
- დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპის რეესტრის წარმოება;
- დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპის აღიარების და პირველადი დამოწმების აღიარების სამუშაოების განხორციელება;
- გაზომვის საშუალებების დამოწმება და დაკალიბრება;
- არსებული სახელმწიფო ეროვნული ეტალონების და გაზომვის სანიმუშო საშუალებების საერთაშორისო ან/და რეგიონალურ მთავარ და დამატებით შედარებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- გაზომვათა მიკვლევადობის უზრუნველყოფა დაკალიბრების გზით;
- დაკანონებული გაზომვის საშუალებების ტიპის დამოწმების აღიარების სამუშაოების განხორციელება, აგრეთვე მეტროლოგიის სფეროში წარმოქმნილი დავების შემთხვევაში საექსპერტო სამუშაოთა შესრულება;

- ერთიანი ნორმატიული დოკუმენტაციის შემუშავება გაზომვათა ერთიანობის განვითარების უზრუნველსაყოფად;
- რეგიონალურ და საერთაშორისო მეტროლოგიური ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობა.

სტანდარტების დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციებია:

- სტანდარტების შემუშავება, დანერგვა, გავრცელება;
- სტანდარტების რეესტრის წარმოება;
- ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო სტანდარტების რეგისტრაცია;
- სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტების შექმნა და ა.შ.

გენდერული სამოქმედო გეგმა

GEOSTM-ის გენდერული სამოქმედო გეგმა ეფუძნება ქალებისა **და მამაკაცების თანაბარი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების პრინციპებს**, რომლებიც გარანტირებულია **საქართველოს კონსტიტუციით (მუხლი 11)** და შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობით.

ასევე, იგი ითვალისწინებს **საერთაშორისო ვალდებულებებს მათ შორის:**

- **ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW**);
- ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ კონვენცია **(სტამბოლის კონვენცია)** ;
- გაეროს **უშიშროების საბჭოს №1325 რეზოლუცია ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ**;
- გაეროს **2030 წლის მდგრადი განვითარების 17 მიზანი**, რომლის ხელმომწერი 193 ქვეყნიდან ერთ-ერთია საქართველო.

სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

GEOSTM ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის პრინციპებს და უზრუნველყოს ისეთი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, რომელიც მიზნად ისახავს ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების მიღწევას მის ინსტიტუციურ ჩარჩოებში. 2020 წელს ეროვნულმა სააგენტომ ხელი მოაწერა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) „გენდერულად მგრძნობიარე სტანდარტებისა და მათი შემუშავების შესახებ დეკლარაციას " და დანიშნა გენდერულ საკითხებზე კოორდინატორი **GEOSTM**-ში.



GEOSTM-ის პერსონალის გენდერული ბალანსის მონაცემები

GEOSTM-ის პერსონალის გენდერული ბალანსის მონაცემები	რაოდენობა
ქალი	
მამაკაცი	
სულ	

სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო



GEOSTM-ის პერსონალის მონაცემები მენეჯერული დონისა და სქესის მიხედვით	რაოდენობა
ქალი – მენეჯერული პოზიცია	
მამაკაცი - მენეჯერული პოზიცია	

სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

გენდერული სამოქმედო გეგმა
სტანდარტიზაცია და მეტროლოგია
(2025 წლის ოქტომბერი – 2027 წლის დეკემბერი)

სტანდარტიზაცია									
ნომერი	აქტივობა	ქმედებები	GAP ინდიკატორი	ბაზისი	მიზანი	ვადები	პასუხისმგებელი ერთეული	საჭირო რესურსები	მოსალოდნელი შედეგი
სტანდარტიზაცია #1: თანასწორი მონაწილეობა **GAP მიზანი : თანასწორი მონაწილეობის უზრუნველყოფა სტანდარტიზაციის საქმიანობაში**									
1	ტექნიკურ კომიტეტებსა და სტანდარტიზაციის საბჭოში წარმოდგენილი კომპანიების წახალისება, გახდნენ გაეროს WEP-ების ხელმომწერები.	ცნობიერების ამაღლების სესიები, საინფორმაციო სესიები, თანამშრომლობა გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან	მონაწილე კომპანიების პროცენტული მაჩვენებელი %, რომლებიც ხელმომწერები არიან	ამ დროისთვის 7 კომპანიამ მოაწერა ხელი.	2025-2026 წლებისთვის დოკუმენტს ხელი მოაწერს კომპანიების მინიმუმ 50%	2025-2026 წწ.	ტექნიკური კომიტეტები და სტანდარტიზაციის საბჭოს სამდივნო; გენდერული საკითხების საკონტაქტო პირი	კოორდინაციის დრო, ცნობიერების ამაღლების მასალები, გაეროს ქალთა ორგანიზაციის თანამშრომლობა	მოსალოდნელია: ქალების გაზრდილი მონაწილეობა სტანდარტიზაციის ტექნიკურ სამუშაოებში
სტანდარტიზაცია #2: გენდერულად მგრძნობიარე სტანდარტები **GAP მიზანი: სტანდარტების უფრო ინკლუზიური და გენდერულად მგრძნობიარე გახდება**									

2	გენდერული დისკრიმინაციის კუთხით არსებული სტანდარტების შესაძლებლობების შესწავლა	• შესაბამისი სახელმძღვანელოები ს/სტანდარტების იდენტიფიცირება; • გენდერული დისკრიმინაციის გამოსავლენად ; • პრიორიტეტული სტანდარტების შერჩევა, რომლებიც განსახილველად უნდა იქნას გამოყენებული ტიპის, სექტორის, პრიორიტეტისა და გავლენის მიხედვით. • ტრენინგების ჩატარება	• გენდერული კრიტერიუმებით განხილული სტანდარტების პროცენტული მაჩვენებელი ან/და • შემუშავებული პროცედურები	ბაზისი არ არის.	2027 წლისთვის განხილული პრიორიტეტული სტანდარტების 25% ან სულ მცირე ერთი შესაბამისი პროცედურა შემუშავებული	2026-2027 წწ.	სტანდარტების დეპარტამენტი, ტექნიკური კომიტეტები	ექსპერტები, ტრენინგები/სემინარები და ა.შ.	მოსალოდნელია: ინკლუზიური სტანდარტების შემუშავების პროცედურების გამოყენება
სტანდარტიზაცია #3: შესაძლებლობების გაძლიერება **GAP მიზანი : გენდერული მიმართულებებისთვის საჭირო უნარების განვითარება**									
3	ყოველწლიური გენდერულად მგრძნობიარე ტრენინგი	ტექნიკური კომიტეტებისა და სტანდარტიზაციის საბჭოს სამდივნოსა და თავმჯდომარეებისთვის ტრენინგები	წლიურად დატრეინინგეული ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი	სააგენტოს თანამშრომლებმა გაიარეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის „მე ვიცი გენდერი“ (1-2-3) მოდულები და დაესწრნენ გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ კონფერენციებსა და სემინარებს.	2027 წლისთვის 50% გადამზადებული იქნება	2025–2027 წწ.	სტანდარტების დეპარტამენტის ტექნიკური კომიტეტები და სტანდარტიზაციის საბჭოს სამდივნო; გენდერული საკითხების საკონტაქტო პირი	ტრენინგის პროვაიდერები, მასალები	მოსალოდნელია: შესაძლებლობების გაძლიერება
სტანდარტიზაცია #4: ინსტიტუციური კულტურა **GAP მიზანი: გენდერის ინტეგრირება პროცესებსა და დოკუმენტებში**									

4	გენდერული საკითხების კვლევა და ანალიზი სტანდარტული საოპერაციო პროცედურების/ ტექსტური დებულებების მიხედვით	არსებულ სტანდარტული საოპერაციო გეგმებში/ სამუშაო პირობებში გენდერული ასპექტების კვლევა და იდენტიფიცირება;	განხილული დოკუმენტების რაოდენობა	ბაზისი არ არის.	ყველა შესაბამისი დოკუმენტი განხილულია 2025 წლიდან	2025 წლიდან დაწყებული	ეროვნული სააგენტო	ექსპერტის კონსულტაცია, დოკუმენტების განხილვა	მოსალოდნელია: ინსტიტუციურ კულტურაში გენდერული საკითხების მდგრადი ინტეგრაცია
მეტროლოგია									
მეტროლოგია # 5 : თანაბარი მონაწილეობა **GAP მიზანი: მეტროლოგიის მომსახურებაში თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა**									
5	წახალისება გაეროს WEP-ების ხელმოსაწერად	მომხმარებლებთან ურთიერთობა და თვალყურის დევნება/	კომპანიების % ხელმომწერი	ამ დროისთვის 3 კომპანიამ მოაწერა ხელი.	წლიური ზრდა 2025 წლიდან	ყოველწლიური 2025 წლიდან	მარკეტინგის, პროტოკოლისა და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება გენდერული საკითხების საკონტაქტო პირი	მონაცემთა სისტემა, პერსონალის დრო	მოსალოდნელია: დაბალანსებული წარმომადგენლობა
მეტროლოგია #6: გენდერულად მგრძნობიარე შედეგები **GAP-ის მიზანი: მეტროლოგიაში გენდერული განსხვავებების გათვალისწინების უზრუნველყოფა**									

6	ინსტრუმენტებში გენდერული მგრძნობელობის განხილვა	ექსპერტთა ჯგუფის მიმოხილვა და საპილოტე ცდები	განხილული რაოდენობა; რაოდენობა მოდიფიცირებული პროცედურების	ბაზისი არ არის.	მიმოხილვა დასრულდა; გამოყენებულია ცვლილებები	2026 წელი	მეტროლოგიის განყოფილება, ხარისხის მართვის განყოფილება	ექსპერტთა ჯგუფი, მხარდაჭერა	მოსალოდნელია: ინკლუზიური გაზომვები
მეტროლოგია # 7 : ინსტიტუციური შესაძლებლობები **GAP მიზანი: ცნობიერების ამაღლება მეტროლოგიის ინსტიტუტში**									
7	გენდერული ცნობიერების ამაღლების ტრენინგი პერსონალისთვის	ტრენინგები და წლიური ანგარიში	წელიწადში დატრენინგებული პირების %; გაზრდილი ცნობიერების მქონე პირთა %	სააგენტოს თანამშრომლები დაესწრნენ გენდერულ საკითხებზე გამართულ კონფერენციებსა და სემინარებს.	2027 წლისთვის პერსონალის 100%-იანი გადამზადება	2025–2027 წწ.	ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, საერთაშორისო განყოფილება, განყოფილებების ხელმძღვანელები	ტრენერები, ონლაინ ინსტრუმენტები, დრო	მოსალოდნელია: გაუმჯობესებული შესაძლებლობები